საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაზალტი

ბაზალტი (ლათ. basaltes, basanites

საქართველოში ბ-ს საშენ ქვად ძველთაგანვე (ბრინჯაოს ხანა) ხმარობდნენ. შუა საუკ. ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში ძირითადი საშენი ქვა ბ. იყო. ბ-ითაა აგებული სამშვილდისა და დმანისის ციხესიმაგრეები, მანგლისის ტაძარი, რუისის, წუნდის, აბელიის ეკლესიები, თირის მონასტერი, ნადარბაზევის სასახლის კომპლექსი და სხვ. საქართველოში ბ-ის საბადოები გამოვლენილია მთიან აფხაზეთში, სამეგრელოში (ლუგელა), ქვემო ქართლში (ბაზაქლო, იაღუფლო, მარნეული, რატევანი, რაჭისუბანი, ბეშთაშენი, ქოსალარი), კახეთში (ჯიგრაშენი), ჯავახეთში (ხანდო), ხევში (კობი, მნა), იმერეთში (პერევისა) და სხვ.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მთ. რედაქტორი ირ. ჟორდანია, ტ. I–II, თბ., 2015.

ნ. სხირტლაძე